



განმცხადებელი (დამინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01232912713 განცხადების თარიღი: 18.10.2023
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1550.1753 განკარგულებით მოწონებული მთავრობის ტანხმობები
საკრებულოში გადასაგზავნი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01232912713**
თარიღი: **18/10/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი განცხადებით N01232763851-67; N012327099-67; N01232704019-67; N01232581197-67; N01232511413-67; N01232371670-67; N01232823519-67; N01232632662-67; N01232793639-67; N01232823695-67; N01232612478-67; N0123265917-67; N01232552739-67; N01232892416-67; N01232682024-67 განცხადებებით მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1550.1753 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 ოქტომბრის N23.1550.1753 განკარგულება - 12 ფურცელი;
2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 12 ფურცელი;
3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი - 12 ფურცელი;

4. პრეზენტაცია - 44 ფურცელი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.1550.1753
18 / ოქტომბერი / 2023 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 3 ოქტომბრის N01232763851-67 განცხადებით თემურ კუჭუხიძემ (პ/ნ 01010000254) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N140/N140 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.027.138, N01.17.11.027.137) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) 2023 წლის 27 სექტემბრის N012327099-67 განცხადებით ლეილა კედიამ (პ/ნ 01015017649) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.012.039, N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

გ) 2023 წლის 27 სექტემბრის N01232704019-67 განცხადებით ლელა კუპატაძემ (პ/ნ 01024027334) და ნინო კუპატაძემ (პ/ნ 01024012589) მოითხოვეს ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა-1-ით (ს-1) ცვლილება;

დ) 2023 წლის 15 სექტემბრის N01232581197-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2023 წლის 8 სექტემბრის N01232511413-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ვ) 2023 წლის 25 სექტემბრის N01232371670-67 განცხადებით თამარ ბაქარაშვილმა (პ/ნ 01011030786) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.088.085, N01.20.01.088.107) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება;

ზ) 2023 წლის 9 ოქტომბრის N01232823519-67 განცხადებით გიორგი გველესიანმა (პ/ნ 61001004135) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეთშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე სატყეო ზონის



სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება;

თ) 2023 წლის 20 სექტემბრის N01232632662-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) 2023 წლის 6 ოქტომბრის N01232793639-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.18.009.934, N01.10.18.009.935) სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

კ) 2023 წლის 9 ოქტომბრის N01232823695-67 განცხადებით ეკატერინე დევდარიანმა (პ/ნ 09001002928) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ლ) 2023 წლის 18 სექტემბრის N01232612478-67 განცხადებით გერონტი ცინდელიანმა (პ/ნ 51001002907) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

მ) 2023 წლის 22 სექტემბრის N0123265917-67 განცხადებით სააქციო საზოგადოება "სკა"-მ (ს/ნ 400271781) მოითხოვა ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ნ) 2023 წლის 12 სექტემბრის N01232552739-67 განცხადებით ზაალ აბაშიძემ (პ/ნ 01024012017) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ო) 2023 წლის 16 ოქტომბრის N01232892416-67 განცხადებით მარიამ გიორგაძემ (პ/ნ 01009018474) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება;

პ) 2023 წლის 25 სექტემბრის N01232682024-67 განცხადებით გიორგი ჭუმბურიძემ (პ/ნ 01030013137) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.15.007.089-ის ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/ N140 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

(საკადასტრო კოდები: N01.17.11.027.138, N01.17.11.027.137) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

N01.17.11.027.138 და N01.17.11.027.137 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 4 ოქტომბრის N0123277965 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/N140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.027.138, N01.17.11.027.137), ასევე, N01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.012.039, N01.18.06.012.038) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

N01.18.06.012.039 და N01.18.06.012.038 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 28 სექტემბრის N01232713098 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთების მცირე ნაწილზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, ვრცელდება სატყეო ზონა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ აღნიშნული სატყეო ზონა საპროექტო ტერიტორიაზე რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება, N01.18.06.012.039 და N01.18.06.012.038 საკადასტრო ერთეულზე არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N 11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039; N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა-1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის N01232712460 წერილით საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, მოთხოვნის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრის (სიგანე) შემცირება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ასევე, განსახილველ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (N16-01232192764; 07.08.23), რომლის მიხედვით, საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების მიღმა. სატრანსპორტო ქვეზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის შენარჩუნებისთვის, მიზანშეწონილია გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი მცირე ნაწილი N01.11.04.028.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და წყალსადენის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.20.01.152.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ტერიტორიის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 20 სექტემბრის N01232631455 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ სამშენებლოდ განვითარება შეიზღუდა, ვინაიდან ტერიტორიაზე გავრცელდა სატყეო ზონა, რომელიც წარმოადგენს არასამშენებლო ფუნქციურ ზონას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ ხორციელდება N01.20.01.175.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება, შემდგომში პრივატიზების მიზნობრივობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის N012328485 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სატყეო ზონა.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.088.085, N01.20.01.088.107) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

N01.20.01.088.085 და N01.20.01.088.107 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე დგას საცხოვრებელი სახლი. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 სექტემბრის N012324548 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით N01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მოხსნა სრულად.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და შემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.088.085, N01.20.01.088.107, 01.20.01.088.109) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო

ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ფუნქციური ზონის ცვლილებას/ დაბრუნებას განიხილავს N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაც.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირი - ქონების მართვის სააგენტომ 2023 წლის 11 ოქტომბრის N61-0123284108 წერილით სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მოქმედი ფუნქციური ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა, შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის N18-012328486 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე ასევე, N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით და მასზე ძირითადი რუკის ზონირებით გავრცელებულია შესაბამისი ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) მიზანშეწონილია ერთიანი ქალაქგეგმარებითი ხასიათის შენარჩუნებისთვის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა განხილულ იქნას მიმდებარე არეალთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 9 ოქტომბრის N18-01232823848 წერილი, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, N01.11.12.005.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-2) (ფართობი: 48 453 კვ.მ).

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება უცვლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) და მიმდებარე არეალზე

გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღება;

ი) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.18.009.934, N01.10.18.009.935) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232851969 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232852907 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არსებული სატრანსპორტო ქვეზონის ნაწილის, მოთხოვნის შესაბამისად, გაუქმება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების/ შენარჩუნების კუთხით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონისა საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.934; N01.10.18.009.935) ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება;

კ) ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.14.15.003.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გავრცელებული საცხოვრებელი ზონის დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232851971 და 2023 წლის 11 ოქტომბრის N01232843381 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო

ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.19.23.021.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შპს "სპორტმშენსერვისი"-ს მიერ ტანვარჯიშის სახეობების სპორტული დარბაზის მშენებლობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) წარმოადგენს სპეციალური ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

დაგეგმილი მასშტაბური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, საპოქტო ტერტორიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გათვალისწინებით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიწანშეწონილია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპოქტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მცირე მონაკვეთი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.17.13.001.407 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 ოქტომბრის N0123275487 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპოქტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-1) მოხსნა.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ნ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული

შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

N01.10.13.038.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე არსებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ახალი ბლოკის მშენებლობა სადაც, განთავსებული იქნება საცავები, სამკითხველო, მუზეუმი, სამუშაო სივრცეები და სხვა დანიშნულების ნაგებობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის N01232622938 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3 ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ო) ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება.

სამრეწველო ზონა 2-ში (ს-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები

N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სს „თბილპოლიმერი“-ს მიერ მეორადი ნედლეულის, კერძოდ - პლასტიკის ნარჩენების და მიღებული ნედლეულიდან სხვადასხვა დანიშნულების შესაფუთი პროდუქტის წარმოება. სს „თბილპოლიმერის“ გეგმაა, გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, შესაბამისად, აღნიშნულით შემცირდება როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენება, ასევე შეამცირებს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

საპროექტო ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და სამშენებლო საქმისწარმოების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება დაგეგმილი სამუშაოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ასევე, N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ასევე, N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216; N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია იმ პირობით თუ წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშშ) დადებითი ანგარიში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

პ) ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზაღდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად არსებულ გზაზე, მოასფალტებულ სივრცეზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზაღდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/N140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.11.027.138, N01.17.11.027.137), ასევე, N01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.012.039, N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატყეო ზონის მოხსნა;

გ) ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.088.085, N01.20.01.088.107, 01.20.01.088.109) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება;

ზ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე ასევე, N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) და მიმდებარედ არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.18.009.934, N01.10.18.009.935) ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

კ) ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ლ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

მ) ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ნ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ო) ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.14.004.216, N01.19.14.004.115, N01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა იმ პირობით თუ წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გშშ) დადებითი ანგარიში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

პ) ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099, N01.10.15.007.057, N01.10.15.007.184) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 3 ოქტომბრის N01232763851-67 განცხადებით თემურ კუჭუხიძემ (პ/ნ: 01010000254) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N140/N140 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) 2023 წლის 27 სექტემბრის N012327099-67 განცხადებით ლეილა კედიამ (პ/ნ: 01015017649) მოითხოვა ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039, N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

გ) 2023 წლის 27 სექტემბრის N01232704019-67 განცხადებით ლელა კუპატაძემ (პ/ნ: 01024027334) და ნინო კუპატაძემ (პ/ნ: 01024012589) მოითხოვეს ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა-1-ით (ს-1) ცვლილება;

დ) 2023 წლის 15 სექტემბრის N01232581197-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ე) 2023 წლის 8 სექტემბრის N01232511413-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ვ) 2023 წლის 25 სექტემბრის N01232371670-67 განცხადებით თამარ ბაქრაშვილმა (პ/ნ: 01011030786) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.088.085; N01.20.01.088.107) სარეკრეაციო ზონა 1-ის

(რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება;

ზ) 2023 წლის 9 ოქტომბრის N01232823519-67 განცხადებით გიორგი გველესიანმა (პ/ნ: 61001004135) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება;

თ) 2023 წლის 20 სექტემბრის N01232632662-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) 2023 წლის 6 ოქტომბრის N01232793639-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.934; N01.10.18.009.935) სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

კ) 2023 წლის 9 ოქტომბრის N01232823695-67 განცხადებით ეკატერინე დევდარიანმა (პ/ნ: 09001002928) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ლ) 2023 წლის 18 სექტემბრის N01232612478-67 განცხადებით გერონტი ცინდელიანმა (პ/ნ: 51001002907) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

მ) 2023 წლის 22 სექტემბრის N0123265917-67 განცხადებით სააქციო საზოგადოება "სკა"-მ (ს/კ: 400271781) მოითხოვა ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ბ) 2023 წლის 12 სექტემბრის N01232552739-67 განცხადებით ზაალ აბაშიძემ (პ/ნ:01024012017) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხდა;

გ) 2023 წლის 16 ოქტომბრის N01232892416-67 განცხადებით მარიამ გიორგაძემ (პ/ნ:01009018474) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება;

დ) 2023 წლის 25 სექტემბრის N01232682024-67 განცხადებით გიორგი ჭუმბურიძემ (პ/ნ: 01030013137) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ის ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება;

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/ N140 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხდა.

N01.17.11.027.138 და N01.17.11.027.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 4 ოქტომბრის N0123277965 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხდა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხდა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/N140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137), ასევე, N01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039; N01.18.06.012.038) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

N01.18.06.012.039 და N01.18.06.012.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 28 სექტემბრის N01232713098 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

საპროექტო მიწის ნაკვეთების მცირე ნაწილზე, გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით, ვრცელდება სატყეო ზონა. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ აღნიშნული სატყეო ზონა საპროექტო ტერიტორიაზე რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება, N01.18.06.012.039 და N01.18.06.012.038 საკადასტრო ერთეულებზე არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N 11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039; N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა-1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 სექტემბრის N01232712460 წერილით საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, მოთხოვნის

შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრის (სიგანე) შემცირება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე, სამომავლოდ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

ასევე, განსახილველ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (N16-01232192764; 07.08.23), რომლის მიხედვით, საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების მიღმა. სატრანსპორტო ქვეზონის სწორხაზოვანი კონფიგურაციის შენარჩუნებისთვის, მიზანშეწონილია გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) დარჩენილი მცირე ნაწილი N01.11.04.028.118 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და წყალსადენის ქუჩას შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.20.01.152.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ტერიტორიის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 20 სექტემბრის N01232631455 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ხოლო, ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემდგომ სამშენებლოდ განვითარება შეიზღუდა, ვინაიდან ტერიტორიაზე გავრცელდა სატყეო ზონა, რომელიც წარმოადგენს არასამშენებლო ფუნქციურ ზონას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება;

ე) ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს მიერ ხორციელდება N01.20.01.175.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება, შემდგომში პრივატიზების მიზნობრივობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის N012328485 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღება;

ვ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.088.085; N01.20.01.088.107) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

N01.20.01.088.085 და N01.20.01.088.107 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე უკვე დგას საცხოვრებელი სახლი. ამასთან, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 სექტემბრის N012324548 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით N01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.20.01.088.109 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) მოხსნა სრულად.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.088.085; N01.20.01.088.107; 01.20.01.088.109) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ფუნქციური ზონის ცვლილებას/დაბრუნებას განიხილავს N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიებზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ 2023 წლის 11 ოქტომბრის N61-0123284108 წერილით სააგენტო, არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მოქმედი ფუნქციური ზონა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა, შეიცვალოს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 11 ოქტომბრის N18-012328486 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, წარმოდგენილ არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე ასევე, N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ტერიტორია სამშენებლოდ განვითარებულია დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლებით და მასზე ძირითადი რუკის ზონირებით გავრცელებულია შესაბამისი ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) მიზანშეწონილია ერთიანი ქალაქგეგმარებითი ხასიათის შენარჩუნებისთვის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა განხილულ იქნას მიმდებარე არეალთან ერთად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 9 ოქტომბრის N18-01232823848 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, N01.11.12.005.096 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარე არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-2) (ფართობი: 48 453 კვ.მ.).

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება უცვლელად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) და მიმდებარე არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.934: N01.10.18.009.935) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის

საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232851969 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232852907 წერილის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არსებული სატრანსპორტო ქვეზონის ნაწილის, მოთხოვნის შესაბამისად, გაუქმება არ აისახება უარყოფითად განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების/ შენარჩუნების კუთხით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატყეო ზონა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატყეო ზონისა საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.934: N01.10.18.009.935) ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, 538ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.14.15.003.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად გავრცელებული საცხოვრებელი ზონის დაბრუნება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 12 ოქტომბრის N01232851971 და 2023 წლის 11 ოქტომბრის N01232843381 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (სატყეო ზონა).

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

N01.19.23.021.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შპს "სპორტმშენსერვისი"-ს მიერ ტანვარჯიშის სახეობების სპორტული დარბაზის მშენებლობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) წარმოადგენს სპეციალური ქვეზონას, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს.

დაგეგმილი მასშტაბური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, საპროექტო ტერიტორიის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გათვალისწინებით ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიწანშეწონილია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მცირე მონაკვეთი. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.17.13.001.407 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 2 ოქტომბრის N0123275487 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-1) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ნ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

N01.10.13.038.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს უკვე არსებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისთვის ახალი ბლოკის მშენებლობა სადაც, განთავსებული იქნება საცავები, სამკითხველო, მუზეუმი, სამუშაო სივრცეები და სხვა დანიშნულების ნაგებობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის N01232622938 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე, განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანებული არელების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით

არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3 ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ო) ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება.

სამრეწველო ზონა 2-ში (ს-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, ასევე, ნაგავსაყრელის ტერიტორიები

N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სს „თბილპოლიმერი“-ს მიერ მეორადი ნედლეულის, კერძოდ - პლასტიკის ნარჩენების და მიღებული ნედლეულიდან სხვადასხვა დანიშნულების შესაფუთი პროდუქტის წარმოება. სს „თბილპოლიმერის“ გეგმა, გადაამუშაოს პლასტიკის ნარჩენები, შესაბამისად, აღნიშნულით შემცირდება როგორც პირველადი ნედლეულის გამოყენება, ასევე შეამცირებს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას.

საპროექტო ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და სამშენებლო საქმისწარმოების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილ იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილება დაგეგმილი სამუშაოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ასევე, N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა (რზ-2). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.19.14.004.216 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ასევე, N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343 რეგისტრაციებზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება. ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216; N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია იმ პირობით თუ წარმოდგენილი იქნება **გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დადებითი ანგარიში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;**

პ) ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის დასავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ფაქტობრივად არსებულ გზაზე, მოასფალტებულ სივრცეზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) და მიმდებარედ არსებულ

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/N140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137), ასევე, N01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039; N01.18.06.012.038) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სატყეო ზონის მოხსნა;

გ) ქალაქ თბილისში, წყალსადენის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.028.118) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება;

დ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთის საკრებულოსთან არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.152.004) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ე) ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.175.003) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ვ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩა, N21ა-სა და სტალინის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.088.085; N01.20.01.088.107; 01.20.01.088.109) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა-3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება;

ზ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N6-ში; უჩანეიშვილის ქუჩა N52-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.09.004.543) ნაწილზე ასევე, N01.14.08.001.606 საკადასტრო კოდიით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, III ა მ/რ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.096) და მიმდებარე არეალზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.934: N01.10.18.009.935) ასევე, მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 3-ითა (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

კ) ქალაქ თბილისში, ივანე ბერიტაშვილის ქუჩა, N38ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.15.003.097) სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

ლ) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.23.021.073) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

მ) ქალაქ თბილისში, წინანდლის ქუჩა N9-8 და N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.407) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ნ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა, N1/3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.038.016) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხნა;

ო) ქალაქ თბილისში, ნოდარ სიგუას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.216; N01.19.14.004.115; N01.19.14.004.343) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2 -ით (ს-2) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა იმ პირობით თუ წარმოდგენილი იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დადებითი ანგარიში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით;

პ) ქალაქ თბილისში, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანაშვილების ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდ(ებ)ი: N01.10.15.007.089-ნაწილზე; N01.10.15.007.099; N01.10.15.007.057; N01.10.15.007.184) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/პირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/ N140 ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

N01.17.11.027.138 და N01.17.11.027.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 4 ოქტომბრის N0123277965 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანება რჩება ხარვეზის სახით. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.17.11.027.094 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე გავრცელებული გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა სრულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N140/N140ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.138; N01.17.11.027.137), ასევე,

N01.17.11.027.094 საკადასტრო ერთეულზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, გრიგოლ ვოლსკის ქუჩა N11-ში და N9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.012.039; N01.18.06.012.038) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

N01.18.06.012.039 და N01.18.06.012.038 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემდგომში ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 28 სექტემბრის N01232713098 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

